



 international  
*stillbirth* alliance

**ვენუს ჯორჯია** *Venus Georgia*

**ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის  
II საერთაშორისო კონფერენცია**

**II INTERNATIONAL CONFERENCE OF  
WOMEN'S REHABILITATION ASSOCIATION**

თბილისი, 13 ივნისი 2015  
Tbilisi, 13 June 2015





# პროგრამა

## I სექცია

**თავმჯდომარე:** მანანა აბულაძე - მედიცინის დოქტორი, მეან-გინეკოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია, ჩაჩავას კლინიკა, მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსი

**9:00 - 10:00 რეგისტრაცია**

**10:00 - 10:10 გახსნის ცერემონია**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მისალმება.

**10:10 - 10:30 ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის პრეზიდენტის მისალმება**

მანანა აბულაძე, მედიცინის დოქტორი, მეან-გინეკოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია, ჩაჩავას კლინიკა, მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსი.

**10:30 - 10:50 მკვდრადშობადობა - საქართველოს რეალობა და გამოწვევები, სტატისტიკური ანალიზი**

სოფო ანანიკოვი, მეან-გინეკოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია, თბილისი, საქართველო.

**10:50 - 11:10 სამეანო მეთვალყურეობის ხარისხის გაუმჯობესება: რა მოვიმოქმედოთ მკვდრადშობადობის შესამცირებლად? პერინატალური აუდიტი**

პროფესორი იან ერვიჩი, მეან-გინეკოლოგი, მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის ექს-პრეზიდენტი, გრონინგენის სამედიცინო უნივერსიტეტი, გრონინგენის უნივერსიტეტი, გრონინგენი, ჰოლანდია.

**11:10 - 11:30 მკვდრადშობადობა: საქართველოს რეალობა და გამოწვევები 2008-2012 წლების მონაცემების საფუძველზე**

თამარ შელია, მეან-გინეკოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია, თბილისი, საქართველო.

**11:30 - 11:50 მკვდრადშობადობა: საქართველოს რეალობა და გამოწვევები 2013 წლის მონაცემების საფუძველზე**

ნათია შარაბიძე, მედიცინის დოქტორი, მეან-გინეკოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია, მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის სამეცნიერო საბჭოს წევრი, თბილისი, საქართველო.

**11:50 - 12:00 დისკუსია**

**12:00 - 12:30 ყავის შესვენება**

## II სექცია

**თავმჯდომარე:** დავით მეტრეველი – დ.მეტრეველის სამედიცინო ცენტრის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. საქართველოს ენდოკრინოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი-ენდოკრინოლოგი, ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია.

**12:30 - 12:50 მკვდრადშობადობის მიზეზები გლობალურად და გამოწვევები, რომლებსაც კლასიფიკაციის არაერთგვაროვანი სისტემების არსებობა ქმნის**

ვიკი ფლენადი, პერინატალური კლინიკური ეპიდემიოლოგი, დედათა კვლევითი ინსტიტუტი, ქუინსლენდის უნივერსიტეტი, ბრისბენი, ავსტრალია; ავსტრალიის პერინატალური საზოგადოება და ახალი ზელანდიის მკვდრადშობადობის და ნეონატალური დანაკარგის ალიანსი; მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსი.

**12:50 - 13:10 მკვდრადშობადობის შემდგომი დიაგნოსტიკა: მიზეზების დადგენა**

პროფესორი იან ერვიჩი, მეან-გინეკოლოგი, მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის ექს-პრეზიდენტი, გრონიგენის სამედიცინო უნივერსიტეტი, გრონიგენის უნივერსიტეტი, გრონიგენი, ჰოლანდია.

**13:10 - 13:30 გესტაციური ჰიპერტენზია და მკვდრადშობადობა**

დალი ტრაპაიძე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, საქართველოს ჰიპერტონიის შემსწავლელი საზოგადოების კვლევების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია, თბილისი, საქართველო.

**13:30 - 13:50 პლაცენტის პათოლოგია მკვდრადშობადობის დროს**

პროფესორი იან ერვიჩი, მეან-გინეკოლოგი, მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის ექს-პრეზიდენტი, გრონიგენის სამედიცინო უნივერსიტეტი, გრონიგენის უნივერსიტეტი, გრონიგენი, ჰოლანდია.

**13:50 - 14:10 ნაყოფის შემცირებული მოძრაობის შესახებ ცნობიერების ამაღლება მკვდრადშობადობის შესამცირებლად**

ვიკი ფლენადი, პერინატალური კლინიკური ეპიდემიოლოგი, დედათა კვლევითი ინსტიტუტი, ქუინსლენდის უნივერსიტეტი, ბრისბენი, ავსტრალია; ავსტრალიის პერინატალური საზოგადოება და ახალი ზელანდიის მკვდრადშობადობის და ნეონატალური დანაკარგის ალიანსი; მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსი.

**14:10 - 14:30 დისკუსია**

**14:30 - 15:30 ლანჩი**

### III სექცია

**თავმჯდომარე:** დავით მეტრეველი – დ.მეტრეველის სამედიცინო ცენტრის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. საქართველოს ენდოკრინოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი-ენდოკრინოლოგი, ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია.

**15:30 - 15:50** **სამედიცინო ჟურნალ „ლანცეტის“ 2011 წლის მკვდრადშობადობასთან დაკავშირებული კვლევების „მოგინოდებთ მოქმედებისკენ“ განხილვა. კიდევ რისი გავლენაა საჭირო?**

დევიდ ელვუდი, პროფესორი, მენ-გინეკოლოგი, გრიფითის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა და გოლდ ქოუსტის საუნივერსიტეტო კლინიკა, ქუინსლენდი, ავსტრალია; მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის ყოფილი თავმჯდომარე.

**15:50 - 16:10** **მკვდრადშობადობა და პეპატიტები**

თამარ მეგრელიშვილი, მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციური დაავადებების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია.

**16:10 - 16:30** **შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტების, მიკრო-, მაკრო- და ნორმოალბუმინურიის ფონზე მიმდინარე ორსულობის შედეგები და ამ პაციენტების კლინიკური სტატუსი მშობიარობიდან 9 წლის შემდეგ**

ნატალია ასათიანი, დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრი, თბილისი, საქართველო. ასოცირებული პროფესორი, პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია. დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრი, თბილისი, საქართველო.

**16:30 - 16:50** **მენ-გინეკოლოგთა ფენომენოლოგიური კვლევა მკვდრადშობადობასთან დაკავშირებით**

ვიოლეტა კატილიენი, ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი, კაუნასი, ლიტვა.

**16:50 - 17:10** **ხელოვნება-თერაპია: რეაბილიტაციის ერთ-ერთი ალტერნატიული გზა**

ეკა მჭედლიშვილი, ფსიქოლოგი, ხელოვნება თერაპევტი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია, თბილისი, საქართველო.

**17:10 - 17:30** **მკვდრადშობადობის ფსიქოლოგიური და ემოციური ასპექტები**

ლარისა პარკაძე, ფსიქოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“. ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია, თბილისი, საქართველო.

**17:30 - 17:40** **რას ნიშნავს მკვდრადშობადობა იმ ოჯახებისთვის, რომლებმაც გადაიტანეს პერინატალური დანაკარგი?**

ია კლდიაშვილი, ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისი, საქართველო.

**17:40 - 17:50** **დისკუსია**

**17:50 - 18:30** **კონფერენციის დახურვის ცერემონია**

# მომხსენებლები

## იან ერვიჩი (ჰოლანდია).

პროფესორი, მეან-გინეკოლოგი, საერთაშორისო მკვდრადშობადობის ალიანსის ყოფილი თავმჯდომარე, გრონინგენის საუნივერსიტეტო სამედიცინო კლინიკა, გრონინგენის უნივერსიტეტი, გრონინგენი, ჰოლანდია.

პროფესორი ერვიჩი არის ექსპერტი მეან-გინეკოლოგი პერინატალური სიკვდილის და მშობელთა მეთვალყურეობის განხრით. მისი ხელმძღვანელობით ჰოლანდიის მასშტაბით სამეანო-გინეკოლოგიურ დაწესებულებებში დაიწყო პერინატალური აუდიტის პროგრამის დანერგვა. ის ასევე არის არაერთი ეროვნული კომიტეტის წევრი, რომლებიც სამეანო მეთვალყურეობის გაუმჯობესებაზე მუშაობენ და ISA-ISPID კონფერენციის თანაორგანიზატორი, რომელიც 2014 წელს ამსტერდამში ორჯერ ჩატარდა. მისი სადოქტორო კვლევა პლაცენტის არაქილონული მუშავის მეტაბოლიზმის თემაზე იყო, ხოლო პოსტ-სადოქტორო პროექტი მან ადელაიდაში, ავსტრალიაში დაიწყო, რომელიც ეხებოდა ნაყოფის ზრდა-განვითარებას. 2000 წლიდან დღემდე იგი მონაწილეობას იღებს მკვდრადშობადობის, დიაგნოსტიკური პროცედურების, პლაცენტის პათოლოგიის, პერინატალური აუდიტის მეთოდოლოგიური განვითარების და სამეანო მეთვალყურეობის თემებზე ჩატარებულ ფართომასშტაბიან პროექტებში.

## დევიდ ელვუდი (ავსტრალია).

პროფესორი, მეან-გინეკოლოგი, გრიფითის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა და გოლდ ქოუსტის საუნივერსიტეტო კლინიკა, ქუინსლენდი, ავსტრალია; მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის ყოფილი თავმჯდომარე.

ოქსფორდში უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან დოქტორანტურა კემბრიჯის უნივერსიტეტში დაიწყო, რის შემდეგაც პრაქტიკული საქმიანობა სიდნეიში, პრინცი ალფრედის ჰოსპიტალში გააგრძელა. 1995 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება და 2006 წელს დაინიშნა ავსტრალიის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის დეკანის თანამშემწედ. წლების განმავლობაში დევიდ ელვუდი ხელმძღვანელობდა ისეთ ორგანიზაციებს, როგორებიც არის ავსტრალიის და ახალი ზელანდიის პერინატალური საზოგადოება, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის მკვდრადშობადობის ალიანსი და ავსტრალია-აზიის ქალთა ჯანმრთელობის ორგანიზაცია. ამჟამად მას უკავია აზია-ოკეანის პერინატალურ საზოგადოებათა ფედერაციის თავმჯდომარის პოზიცია, არის მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის წევრი, ასევე, გრიფითის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში მეან-გინეკოლოგიის კათედრის პროფესორი და გოლდ ქოუსტის საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი.

## ვიკი ფლენადი (ავსტრალია).

პერინატალური კლინიკური ეპიდემიოლოგი, დედათა კვლევითი ინსტიტუტი, ქუინსლენდის უნივერსიტეტი, ბრისბენი, ავსტრალია; ავსტრალიის პერინატალური საზოგადოება და ახალი ზელანდიის მკვდრადშობადობის და ნეონატალური დანაკარგის ალიანსი; მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის ბორდის ყოფილი თავმჯდომარე და სამეცნიერო კომიტეტის ამჟამინდელი თანათავმჯდომარე.

ის არის პერინატალური კლინიკური ეპიდემიოლოგი. ამჟამად მას უკავია კვლევის პრაქტიკაში გადატანის ცენტრის (TRIP) დირექტორის პოზიცია. ის ასევე დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის თემასთან დაკავშირებული კვლევის პროგრამის თანათავმჯდომარეა დედათა კვლევის ინსტიტუტში (ბრისბენი, ქუინსლენდი). ვიკი ფლენადი ჩართულია ფართომასშტაბიან პერინატალურ ეპიდემიოლოგიურ კვლევებში, რომლებიც ეხება რისკ ფაქტორებსა და მონაცემთა ხარისხს სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე და ყურადღებას ამახვილებს მკვდრადშობადობის პრევენციაზე. ის იყო ჟურნალ ლანცეტის მკვდრადშობადობასთან დაკავშირებული კვლევების კომიტეტის წევრი. ამჟამად მას ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის პერინატალური საზოგადოების პრეზიდენტის თანამდებობა უკავია. ვიკი ფლენადიმ დააფუძნა ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მკვდრადშობადობის ალიანსი, რომელიც მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის რეგიონალურ ოფისს წარმოადგენს.

## მანანა აბულაძე (საქართველო).

მედიცინის დოქტორი, მეან-გინეკოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; „ჩაჩავას კლინიკა“, ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. 3 პროექტის და მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი. ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის I (2012 წლის) და II (2015 წლის) საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორი. ტრენინგების „ქალის ჯანმრთელობა დღეს“ ორგანიზატორი და ტრენერი. მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

## **ნათია შარაბიძე** (საქართველო).

მედიცინის დოქტორი, მენ-გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის დამფუძნებელი. 7 სამეცნიერო შრომის ავტორი. ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის I (2012 წლის) და II (2015 წლის) საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორი. ტრენინგების „ქალის ჯანმრთელობა დღეს“ ორგანიზატორი და ტრენერი. მკვრადმოზადობის საერთაშორისო ალიანსის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

## **თამარ შელია** (საქართველო).

მენ-გინეკოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის წევრი. 3 სამეცნიერო შრომის ავტორი. ტრენინგების „ქალის ჯანმრთელობა დღეს“ ტრენერი.

## **სოფიო ანანიკოვი** (საქართველო).

მენ-გინეკოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქ. გორის სამშობლო სახლი „ჯ. გოგიაშვილის კლინიკა“, ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის წევრი. 1 სამეცნიერო შრომის ავტორი.

## **ლარისა პარკაძე** (საქართველო).

ფსიქოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის დამფუძნებელი. ტრენინგების „ქალის ჯანმრთელობა დღეს“ ტრენერი.

## **ეკა მჭედლიშვილი** (საქართველო).

ფსიქოლოგი, ხელოვნება თერაპევტი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის წევრი.

## **დალი ტრაპაიძე** (საქართველო).

ექიმი კარდიოლოგი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, საქართველოს ჰიპერტონიის შემსწავლელი საზოგადოების კვლევების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია.

ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა დეპარტამენტის მონვეული პედაგოგი. სამუშაო გამოცდილება: კლინიკური კარდიოლოგია, პრევენციული კარდიოლოგია, ეპიდემიოლოგია, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა. არის 30 პუბლიკაციის ავტორი.

## **თამარ მეგრელიშვილი** (საქართველო).

მედიცინის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციური დაავადებების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

## **ვიოლეტა კატილიენი** (ლიტვა).

ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი, ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია. კაუნასის სასჯელადსრულების დაწესებულება (2007-2012), კერძო პრაქტიკა (2011-2012), „პირველი ნაბიჯი საქართველო“-ს და სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრის „ვენუს ჯორჯია“ მოხალისე ფსიქოლოგი (2012-დან დღემდე).

## ნატალია ასათიანი (საქართველო).

ფუნქციური დიაგნოსტიკის განყოფილების გამგე, დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრი. პროგრამა „დიაბეტი და ორსულობა“ დირექტორი; ასოცირებული პროფესორი, პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია. 100-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი. ევროპის დიაბეტური სწავლების ასოციაციის წევრი და დიაბეტური განათლების საკვლევი ჯგუფის გენერალური კომიტეტის წევრი; დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის წევრი; BSDU-ს დიაბეტური განათლების ბორდის წევრი.

## ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის პრეზიდენტის მისალმება

### მანანა აბულაძე

**მედიცინის დოქტორი, მუან-გინეკოლოგი, სამუანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია, ჩაჩავას კლინიკა, მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსი.**

მოგესალმებით, ძვირფასო კოლეგებო და სტუმრებო. მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის და თანადგომისთვის. დღეს ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსთან ერთად ატარებს რიგით II სამეცნიერო კონფერენციას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ქალთა რეაბილიტაციის და საქართველოს ექიმთა საზოგადოების სახელით მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსს და დღეს საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს, რომლებმაც მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულები არიან, გამონახეს დრო და მოახერხეს დღეს ჩვენთან შეხვედრა.

ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია დაფუძნდა 2008 წელს და მისი ძირითადი საქმიანობა მიმართულია პერინატალური დანაკარგის მაქსიმალურად შემცირებისკენ და ჯანმრთელი შთამომავლობის გაგრძელების მიზნით პერინატალური დანაკარგის შემდგომ მშობლების სათანადო რეაბილიტაციისკენ. ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის აქტივობები:

1. 2012 წელს I საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ქალთა რეაბილიტაციის და პერინატალური ფსიქოლოგიის საკითხებს.
2. 2013-2014 წლებში ტრენინგების ჩატარება ექიმებთან, სტუდენტებთან და რეპროდუქციული ასაკის ქალებთან, რომელიც ეხებოდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ყველა ძირითად საკითხს. ტრენინგების თემატიკა ეფუძნებოდა მსოფლიოს წამყვანი კლინიკების გამოცდილებას და ქალთა რეაბილიტაციის მიერ ამ პერიოდში შესრულებულ 2 სამეცნიერო შრომას: საშვილოსნოს გარე ორსულობის და აბორტის შემდგომი პერიოდის მართვა.
3. 2014 წლის 15 ოქტომბერს ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის მიერ პირველად აღინიშნა საქართველოში გახსენების დღე. ეს დღე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ყოველწლიურად აღინიშნება. გახსენების საერთაშორისო დღეს იხსენებენ იმ ჩვილ ბავშვებს, რომლებიც დაკარგეს მშობლებმა, ოჯახებმა და საზოგადოებამ.

დღევანდელი ჩვენი შეკრების მიზანია ყოველ ადამიანს ჩამოვუყალიბოთ თავისი ჯანმრთელობის მიმართ თანამედროვეობის შესატყვისი ახლებური მიდგომა რამეთუ თანამედროვე ადამიანი ვითარდება როგორც სოციალური არსება და მასზე გავლენა ხორციელდება გარემოს და სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით. დაავადების სტრუქტურა, მისი მიმდინარეობა, სიკვდილიანობა, ასევე შობადობის პრობლემის მეცნიერული გაგებაც ამ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამავე დროს, ჩვენი მიზანია გავუმჯობესოთ დემოგრაფიული მაჩვენებლები მკვდრადშობადობის შემცირების გზით მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრევენციისა და რეაბილიტაციის მეშვეობით.

მკვდრადშობადობა ძლიერი ემოციური სტრესია მშობლებისთვის, ოჯახებისთვის და იმ ექიმისთვის, ვინც ამ შემთხვევას მართავდა. მშობლებს გარკვეული იმედები და ოცნებები გააჩნდათ მომავალ შვილზე, მაგრამ ბავშვი მკვდრად იშვა ან ახალშობილის სიკვდილი დაფიქსირდა- მშობლებს იმედი და ოცნებაც უკვდებათ. თუ ამ სიტუაციაში დროულად და სწორად არ ჩავერთვებით, გვაქვს დიდი ალბათობა მთელი რიგი გართულებების განვითარებისა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია II საერთაშორისო კონფერენციას მთლიანად მკვდრადშობადობის საკითხების გაშუქებას უთმობს მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსთან ერთად.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება როგორც ქართველი ექიმებისთვის, ასევე უცხოელი სტუმრებისთვის. ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის სახელით ქართველ ექიმებს ვუსურვებ ნაყოფიერ მუშაობას, აქტიურობას კონფერენციის მსვლელობაში, წარმატებებს სამედიცინო საქმიანობაში, უცხოელ სტუმრებს კი ნაყოფიერ და სასიამოვნო დღეებს საქართველოში.

გმადლობთ ყურადღებისთვის!



# მკვდრადშობადობა - საქართველოს რეალობა და გამონვევები, სტატისტიკური ანალიზი

## სოფო ანანიკოვი

მეან-გინეკოლოგი, სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“; ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია.

მკვდრადშობადობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებში. გლობალურად დაახლოებით 2.6 მილიონი მკვდრადშობადობის შემთხვევა ფიქსირდება ყოველწლიურად. შემთხვევათა 98%-ი აღინიშნება დაბალი შემოსავლების ქვეყნებში.

საქართველოში უკანასკნელ წლებში მკვდრადშობადობის მაჩვენებლის კლება დაფიქსირდა. 2006 წლიდან მკვდრადშობადობის აბსოლუტური რიცხვი 34%-ით შემცირდა. 2013 წელს მკვდრადშობადობის მაჩვენებლის მნიშვნელობამ შეადგინა 9.7 ყოველ 1000 დაბადებულზე, მაგრამ ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით საქართველოში მკვდრადშობადობის მაჩვენებელი დაახლოებით 2-ჯერ მეტია, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის იგი მე-6 ადგილს იკავებს. შედარებისათვის, 2013 წელს დიდ ბრიტანეთს (4.7/1000 დაბადებულზე), საფრანგეთს (10.4/1000 დაბადებულზე) და ბულგარეთს (8/1000 დაბადებულზე) აღენიშნებოდათ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ევროპაში, მაშინ როცა ესპანეთს, სლოვენიას (2.3/1000 დაბადებულზე) და ფინეთს (1.9/1000 დაბადებულზე) ყველაზე დაბალი. აღსანიშნავია რომ სოფლის მოსახლეობაში მაჩვენებელი თითქმის 3-ჯერ მეტია ვიდრე ქალაქის. მკვდრადშობადობის შემთხვევების 55 % მოდის სამხრეთ აზიისა და სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონის სოფლის მოსახლეობაზე, სადაც გასათვალისწინებელია რომ შემთხვევათა დიდი ნაწილი არც კი აღირიცხება.

მსოფლიოში მკვდრადშობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღენიშნება პაკისტანს (46/1000 დაბადებულზე) და ნიგერიას (41/1000 დაბადებულზე), ყველაზე დაბალი ფინეთს (1.9/1000 დაბადებულზე) და სინგაპურს (2/1000 დაბადებულზე). ინდოეთში საერთო მაჩვენებელია 22, თუმცა ზოგიერთ შტატებში მაჩვენებელი 60-ია.

მსოფლიოში, რეგულაციები მკვდრადშობადობის რეგისტრაციის შესახებ ცვალებადობს. ჩვენს ქვეყანაში მკვდრადშობილად ითვლება ნაყოფი, რომლის გესტაციური ასაკი აღემატება 22 კვირას.

მართალია მკვდრადშობადობის მაჩვენებლის მონიტორინგი არ წარმოადგენს ათასწლეულის განვითარების მიზანს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მკვდრადშობადობის შემცირება ისევე როგორც ზოგადად ორსულობის გამოსავლის გაუმჯობესება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მილენიუმის განვითარების მიზნების მიღწევის გზაზე.

## სამეანო მეთვალყურეობის ხარისხის გაუმჯობესება: რა მოვიმოქმედოთ მკვდრადშობადობის შესამცირებლად? პერინატალური აუდიტი

### პროფესორი იან ერვიჩი

ერვიჩი, მეან-გინეკოლოგი, მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის ექს-პრეზიდენტი, გრონინგენის საუნივერსიტეტო სამედიცინო კლინიკა, გრონინგენის უნივერსიტეტი, გრონინგენი, ჰოლანდია.

არასასურველად დასრულებული ორსულობის მიზეზების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია მომავალში ასეთი შედეგების თავიდან აცილების და მეთვალყურეობის გაუმჯობესების მიზნით. ყველა ასეთი შემთხვევის სათანადო ანალიზი არა მხოლოდ იმის გასაგებადაა საჭირო, თუ რა შემთხვევით მოხდებოდა და როგორი იქნება მათი მომავალი, არამედ ასევე მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალისთვის, ისევე, როგორც, ზოგადად, ორსული ქალებისათვის. დედათა სიკვდილიანობის, მკვდრადშობადობის, პერინატალური სიკვდილიანობის და მძიმე დაავადებების განხილვა და აუდიტი უკვე სტანდარტული შეფასების მეთოდად მიიჩნევა კლინიკებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ზოგადად, შემთხვევათა 20-25%-ში ვლინდება სტანდარტულზე დაბალი მოვლის ხარისხი, რაც ნაწილობრივ იწვევს ორსულობის არასასურველ გამოსავალს. აუდიტის განსხვავებული მეთოდების გამოყენებამ აჩვენა, რომ აუდიტიც და განხილვებიც ხელს უწყობს მოვლის ხარისხის გაუმჯობესებას და ორსულობის ცუდი გამოსავლის შემცირებას. თუმცა, დიდი გამოწვევაა ასეთი ტიპის შეხვედრების დაგეგმვა, განხორციელება და ფუნქციონირება ოპტიმალური შედეგის მისაღებად. რომელია მთავარი ასპექტები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ამ პროცესში? პირველი სირთულეა შემთხვევასთან დაკავშირებით რელევანტური ინფორმაციის მოძიება და ფაქტების ქრონოლოგიურად დალაგება. ამისთვის საჭიროა დრო და ადამიანური რესურსი. აუდიტის დროს ინფორმაციის მოძიებისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ უნდა შეგროვდეს არა მარტო სამედიცინო ინფორმაცია, არამედ ინფორმაცია პროცედურების შესახებაც. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ რა უდევს საფუძვლად კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას, რაც ჩვეულებრივ სამედიცინო ჩანაწერებში არ აღინიშნება. ამას გარდა, შეხვედრისთვის სათანადო მომზადების მიზნით კვლევაში ჩართული პერსონალის ყველა წევრი უნდა თანხმდებოდეს შეხვედრის შინაარსთან დაკავშირებით, რათა დრო არ დაიხარჯოს

აუდიტისთვის შესაბამისი დეტალებზე. აუდიტის შეხვედრისთვის მზადების პროცესში სასურველია გუნდი მომზადებული იყოს შეხვედრის მიზნებისა და პროცედურებისთვის.

შეხვედრის დაგეგმვამდე აუცილებელია კომუნიკაციასთან დაკავშირებით ძირითად წესებზე შეთანხმება- მიღებულია თუ არა ღიად ლაპარაკი სამედიცინო შეცდომებზე და იმ ადამიანთა ემოციებზე, რომლებსაც პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა ჰქონიათ.

ასეთი შეხვედრების მთავარი მიზანი არა ადამიანთა დადანაშაულება, არამედ ერთიანი ძალებით (ექიმი, მეანი, მედდა და ა.შ.) მოვლის ხარისხის გაუმჯობესებაა. აუდიტის შეხვედრების წარმატებისთვის ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პატივსაცემ თავმჯდომარეს, რომელიც არ განსჯის პერსონალს.

არსებობს რამდენიმე მეთოდოლოგია თუ როგორ გამოვააშკარაოთ დაბალი ხარისხის მეთვალყურეობის მიზეზები. ამ მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევიმუშავოთ გაუმჯობესების გზები. ამ გზების დანერგვა, განხორციელება და შენარჩუნება სირთულეს წარმოადგენს, მაგრამ ყოველდღიურ პრაქტიკაში შემოთავაზებული გზების დანერგვით მიღწეული გაუმჯობესება იქნება მოტივაცია პერსონალისთვის, რომ გააგრძელონ აუდიტის შეხვედრები, რადგან ეს შეხვედრები ორიენტირებულია შედეგზე. ციკლი „**დაგეგმვა-განხორციელება-მოქმედება-კონტროლი**“-ს (Plan-Do-Act-Check) განხორციელება აუცილებელია ყოველდღიურ პრაქტიკაში მეთვალყურეობის გაუმჯობესების მიზნით. ნებისმიერ წარმატებას ხაზი უნდა გაესვას თანამშრომელთა მოტივაციის ასამაღლებლად, მოვლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ორსულ ქალთა და მათ შვილთა საკეთილდღეოდ.

## **მკვლადშობადობა: საქართველოს რეალობა და გამოწვევები 2008-2012 წლების მონაცემების საფუძველზე**

**შელია თამარი<sup>1,2</sup>, შარაბიძე ნათია<sup>1,2,3</sup>, აბულაძე მანანა<sup>1,2</sup>, ანანიკოვი სოფიო<sup>1,2</sup>, გამრევლიძე თეა<sup>2,4</sup>, ესებუა სალომე<sup>2,5</sup>.**

<sup>1</sup> სამედიცინო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“;

<sup>2</sup> ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია;

<sup>3</sup> მკვლადშობადობის საერთაშორისო ალიანსის სამეცნიერო საბჭოს წევრი;

<sup>4</sup> დავით ტვილიდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი;

<sup>5</sup> „ჩაჩავას კლინიკა“, ექიმი-რეზიდენტი.

ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის მკვლევართა ჯგუფის მიერ მკვლადშობადობის ტენდენციების შესწავლის მიზნით ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა:

1. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენას;
2. მკვლადშობადობის გამოწვევი მიზეზების შესწავლას სამედიცინო დოკუმენტაციის მიმოხილვის საფუძველზე;
3. მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებას.

მკვლადშობადობის შემთხვევათა სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლა განხორციელდა თბილისის ორ სამშობიარო სახლში, რომელიც შეირჩა შემთხვევითი შერჩევის წესით, სადაც ხდება შობადობათა 40-50% თბილისის მასშტაბით ყოველწლიურად. სამედიცინო დოკუმენტაცია შესწავლილ იქნა სპეციალური კითხვარის მეშვეობით, რომელიც ფოკუსირებული იყო შემდეგ საკითხებზე: დედის დემოგრაფიული მახასიათებლები, მშობიარობის ისტორია, ბოლო ორსულობის და მშობიარობის მიმდინარეობა და მკვლადშობადობის პრობლემის იდენტიფიკაცია.

მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა Epi-info 3.5.1. 2008-2012 წლებში მკვლადშობადობის აბსოლუტური რიცხვი იყო 3291, კვლევისას შესწავლილი იქნა საერთო რაოდენობის 28% (დაახლოებით 1/3). კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რისკ ფაქტორების შესწავლას. ამ მიზნით ორსულები იქნა დაჯგუფებული გესტაციური ასაკის მიხედვით შემდეგ ჯგუფებად: 22-27 კვირა და 28 კვირიდან და ზევით. შესწავლილი შემთხვევების 56.5%-ში ორსულობა შეწყდა 22-27 კვირის ვადაზე, ხოლო 43.5%-ში 28 კვირის შემდეგ.

### **დასკვნა:**

სამედიცინო ისტორიების შესწავლისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემა, კერძოდ სამედიცინო დოკუმენტაციის არასრულყოფილი შევსება, არ არის გამოყენებული თანამედროვე ტერმინოლოგია დიაგნოზის ფორმულირებისას, პაციენტის და მისი მეუღლის ან პარტნიორის ანამნეზის შევსება ხდება არასრულყოფილად. პრობლემის აღმოფხვრისთვის:

1. აუცილებელია შეიქმნას უნიფიცირებული სამედიცინო დოკუმენტი და მოხდეს მისი იმპლემენტაცია მკვდრადშობადობის შემთხვევებისთვის ქვეყნის მასშტაბით.
2. საჭიროა დაბადების რეგისტრის შექმნა, დედათა და ბავშვთა ინდიკატორთა გაახლებული კომპლექსით.
3. სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და მკვდრადშობადობის სწორი მენეჯმენტის მიზნით ეროვნული გაილაინის და პროტოკოლის შემუშავება და იმპლემენტაცია.

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ აუცილებელია მკვდრადშობადობის და ზოგადად ანტენატალური მოვლის შესახებ როგორც სამედიცინო პერსონალის ცოდნის ამაღლება, ასევე მოსახლეობის, განსაკუთრებით რეპროდუქციული ასაკის ქალთა განათლება.

## **მკვდრადშობადობა: საქართველოს რეალობა და გამოწვევები 2013 წლის მონაცემების საფუძველზე**

**შარაბიძე ნათია<sup>1,2,3</sup>, შელია თამარი<sup>1,2</sup>, აბულაძე მანანა<sup>1,2</sup>, ანანიკოვი სოფიო<sup>1,2</sup>, გამრევლიძე თეა<sup>2,4</sup>, ესებუა სალომე<sup>2,5</sup>.**

<sup>1</sup> სამედიცინო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი „ვენუს ჯორჯია“;

<sup>2</sup> ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია;

<sup>3</sup> მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის სამეცნიერო საბჭოს წევრი;

<sup>4</sup> დავით ტვილიდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი,

<sup>5</sup> „ჩაჩავას კლინიკა“, ექიმი-რეზიდენტი.

საქართველოში მკვდრადშობადობის შემთხვევების სამედიცინო დოკუმენტაციის რეტროსპექტული კვლევა განხორციელდა 2012-2014 წლებში. ეს გახლდათ ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევა და პირველი მცდელობა ჩვენს ქვეყანაში მკვდრადშობადობის ანალიზისა.

2013 წლის პირველი ნახევრის მკვდრადშობადობის შემთხვევათა სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლა განხორციელდა თბილისის ორ სამშობიარო სახლში, რომელიც შეირჩა შემთხვევითი შერჩევის წესით, ხოლო 2013 წლის მეორე ნახევრიდან კი შესწავლილი იქნა მკვდრადშობადობა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

კვლევის დიზაინი მოიცავდა მკვდრადშობადობის სამედიცინო დოკუმენტაციის კვლევას სპეციალური კითხვარის საშუალებით. მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა Epi-info 3.5.1.

2013 წელს მკვდრადშობილთა აბსოლუტური რიცხვი იყო 549. კვლევის განმავლობაში შესწავლილი იქნა 2013 წელს მკვდრადშობილთა საერთო რაოდენობის 54%. შესწავლილ ორსულობათა 33% შეწყდა 22-27 კვირის ვადაზე, 40% - 28-36 კვირის ვადაზე, ხოლო 27%-ის შემთხვევაში მკვდრადშობადობა დადგა 37 კვირა და მეტ გესტაციურ ასაკში.

ბოლო ორსულობისას არსებული რისკ ფაქტორების შესწავლა განსაკუთრებით ინფორმატიულია. 2013 წლის შემთხვევათა ანალიზისას ორსულები დაჯგუფდა გესტაციური ასაკის მიხედვით შემდეგნაირად: 22-27 კვირა, 28 კვირიდან და ზევით.

მკვდრადშობადობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია სამედიცინო მომსახურების შეფასებისას. ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ კვლავ მაღალია მკვდრადშობილთა წილი, რომელთა მასა აღემატება წონის კრიტიკულ ზღვარს. ჩატარებული კვლევის დროს ანალიზმა გვიჩვენა, რომ 37 და მეტი გესტაციური ასაკის და 2500 გრამზე მეტი ნაყოფის სიკვდილი მაღალია. მაშინ, როცა აღნიშნული პოპულაციის გადარჩენის ალბათობა გაცილებით მეტია ადეკვატური ანტენატალური და ნეონატალური მოვლის პირობებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის შედეგების განხილვაში მითითებულია 2500 გრამზე მეტი მკვდრადშობილის ყველა შემთხვევის პათოლოგ-ანატომიური შესწავლის აუცილებლობის შესახებ ქვეყნის კულტურული და რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ასევე მოსახლეობის, განსაკუთრებით, რეპროდუქციული ასაკის ქალთა განათლება მკვდრადშობადობის და ზოგადად ანტენატალური მოვლის შესახებ, ვინაიდან არსებობს მტკიცებულება, რომ მნიშვნელოვანი კორელაციაა ქალის განათლებასა და ორსულობის გამოსავალს შორის.

# მკვდრადშობადობის მიზეზები გლობალურად და გამოწვევები, რომლებსაც კლასიფიკაციის არაერთგვაროვანი სისტემების არსებობა ქმნის

ვ. ფლენადი<sup>1,2</sup>, დ. ელვუდი<sup>2,9</sup>, ჰ.ე. რეინბრანტი<sup>1</sup>, ს. ლეიშერი<sup>1,2</sup>, ზ. ტეო<sup>1</sup>, რ. ლორი<sup>1</sup>, გ. გარდენერი<sup>1</sup>, ჯ.ჯ. ერვიჩი<sup>2,3</sup>, ა. ჩარლზი<sup>4</sup>, ი. ხონგი<sup>5</sup>, ე.მ. მაკკლური<sup>2,6</sup>, გ. სმიტი<sup>2,7</sup>, ს.ჯ. გორდინი<sup>2,3</sup>, ჯ.რ. ფროენი<sup>2,8</sup>.

- <sup>1</sup> დედათა კვლევის ინსტიტუტი, ქუინსლენდის უნივერსიტეტი, ბრისბენი, ავსტრალია;
- <sup>2</sup> მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსი;
- <sup>3</sup> გრონინგენის საუნივერსიტეტო-სამედიცინო ცენტრი, ნიდერლანდები;
- <sup>4</sup> პედიატრიული და პერინატალური პათოლოგიების განყოფილება, მეფე ედუარდის მემორიალური საავადმყოფო, პერთი, ავსტრალია;
- <sup>5</sup> სამხრეთ ავსტრალიის პათოლოგიის, ქალთა და ბავშვთა საავადმყოფო, ადელაიდი, ავსტრალია;
- <sup>6</sup> ეპიდემიოლოგიის და ბიოსტატისტიკის განყოფილება, კვლევითი ინსტიტუტი, ა.შ.შ;
- <sup>7</sup> სამედიცინო-გინეკოლოგიური განყოფილება, კემბრიჯის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო;
- <sup>8</sup> საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ნორვეგიული ინსტიტუტი, ნორვეგია;
- <sup>9</sup> გრიფითის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა და გოლდ ქოუსტის საუნივერსიტეტო კლინიკა, ქუინსლენდი, ავსტრალია.

**შესავალი:** მკვდრადშობადობა და ნეონატალური სიკვდილი მშობლებისთვის, ოჯახებისთვის და სამედიცინო პერსონალისთვის ტრაგიკული მოვლენაა. ყოველწლიურად დაახლოებით 2.64 მილიონი მკვდრადშობადობის ( $\geq 28$  გესტაციური კვირა ან  $\geq 1000$  გ) და 3.8 მილიონი ნეონატალური სიკვდილის შემთხვევა ფიქსირდება მსოფლიოს მასშტაბით. ამ შემთხვევათა დიდი უმრავლესობა ხდება საშუალო და დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში. პრევენციისთვის მნიშვნელოვანია სიკვდილის მიზეზებთან დაკავშირებით მონაცემების სწორი და თანმიმდევრული შეგროვება. სამუხაროდ, ოქროს სტანდარტის კლასიფიკაციის სისტემის არ არსებობის პირობებში გამოიყენება სხვადასხვა, ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული სისტემები, რაც მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის მკვდრადშობადობის პრევენციის საკითხთან მიმართებაში. არსებული სისტემებიდან ბევრი მაღალ შემოსავლიან ქვეყნებშია შექმნილი და შეუსაბამოა საშუალო და დაბალ შემოსავლიან ქვეყნებისთვის იმ მიზეზით, რომ ეს სისტემები არ ითვალისწინებს შედარებისთვის საჭირო ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც შეიძლება მკვდრადშობადობის და ნეონატალური სიკვდილის კლასიფიკაცია.

**მიზანი:** ამ კვლევის მიზანი იყო ქვეყნის განვითარების დონის გათვალისწინებით მკვდრადშობადობის ყველაზე ხშირად დაფიქსირებული მიზეზების კლასიფიკაცია და იმ განსხვავებების აღწერა, რომლებიც კლასიფიკაციის სისტემის გამოყენებისას არსებობს.

**მეთოდი:** ჩატარდა 2004-2014 წლების ლიტერატურის სისტემატიური მიმოხილვა.

**შედეგები:** მკვდრადშობადობის დროს სიკვდილის მიზეზებზე ჩატარდა 67 კვლევა. უმრავლესობა (78%) ჩატარებული იყო მაღალ შემოსავლიან ქვეყნებში და დანარჩენი (22%) - საშუალო და დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში. სიკვდილის მიზეზების აღწერისთვის გამოყენებული იყო 13 სხვადასხვა კლასიფიკაციური სისტემა. 14 კვლევაში საერთოდ არ იყო მითითებული კლასიფიკაციის სისტემა. 12 ანგარიშში სიკვდილის მიზეზების კლასიფიკაციისთვის გამოყენებული იყო დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემა.

სიკვდილის მიზეზები განსხვავებულია ქვეყნის და კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით. კვლევებში დაუდგენელი გენების მკვდრადშობადობის რაოდენობა 0%-დან 80%-მდე მერყეობდა. საშუალო და დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში მკვდრადშობადობის ძირითადი მიზეზები იყო: სამედიცინო გართულებები (16%), დაუდგენელი (14%) და ჰიპოქსიური მშობიარობის პროცესში ჰიპოქსიის შედეგად განვითარებული (peri-partum) სიკვდილი (9%), ხოლო მაღალ შემოსავლიან ქვეყნებში - დაუდგენელი (25%), პლაცენტარული (17%) და თანდაყოლილი ანომალიები (12%).

**დასკვნა:** პერინატალური დანაკარგის შემცირების სტრატეგიების განვითარების მცდელობები, მათ შორის მიმდინარე მონიტორინგი, შეზღუდულია, რაც მიზეზთა კლასიფიკაციისადმი არაერთგვაროვანი მიდგომითაა გამოწვეული. საჭიროა პრაგმატული და ეფექტური კლასიფიკაციის შექმნა, რომელიც თანმიმდევრულად ასახავს მკვდრადშობადობის და ნეონატალური სიკვდილის მიზეზებს გლობალურ დონეზე.

ეს კვლევა ჩატარდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ნორვეგიული ინსტიტუტის პროექტ „hRHR“-თან თანამშრომლობით. ასევე განხორციელდა თანამშრომლობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეპროდუქციული ჯანმრთელობის და კვლევის დეპარტამენტთან, რომელიც ფინანსდება ნორვეგიის განვითარების და კოოპერაციის სააგენტოს მიერ.

# მკვდრადშობადობის შემდგომი დიაგნოსტიკა: მიზეზების დადგენა

## პროფესორი იან ერვიჩი

მეან-გინეკოლოგი, მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის ექს-პრეზიდენტი, გრონინგენის საუნივერსიტეტო სამედიცინო კლინიკა, გრონინგენის უნივერსიტეტი, გრონინგენი, ჰოლანდია.

მკვდრადშობადობის მიზეზების დადგენა მნიშვნელოვანია არა მარტო იმისთვის, რომ მშობლებმა იცოდნენ რამ გამოიწვია ეს, არამედ იმისთვისაც, თუ როგორ დაგეგმონ მომავალი ორსულობა. ამასთანავე, კლინიკებში, რეგიონებში ან ქვეყანაში ყველა შემთხვევის რეგისტრაცია გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი მიზეზია უფრო მეტად გარცელებული და საით უნდა იყოს მიმართული პრევენციული ღონისძიებები. დიაგნოსტიკური ღონისძიებები დამოკიდებულია ადგილობრივ თავისებურებებზე, როგორცაა, მაგალითად აფრიკასა და ევროპას შორის არსებული განსხვავებები ინფექციურ დაავადებებში. ასევე განსხვავებულია დიაგნოსტიკის მეთოდები სხვადასხვა ქვეყნების სამედიცინო დაწესებულებებში, რადგან გამოკვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ჰისტომორფოლოგია, რადიოლოგია და ლაბორატორიული მომსახურება შეიძლება ზოგიერთ ადგილას დაბალ დონეზე იყოს განვითარებული, საერთოდ არ არსებობდეს ან ფასები არ იყოს ხელმისაწვდომი.

მკვდრადშობადობის მიზეზების 40-მდე განსხვავებული კლასიფიკაციის სისტემა არსებობს მსოფლიოში. ყველა ამ სისტემას აქვს თავისი მიზანი, უპირატესობა და ნაკლი. დიაგნოსტიკურ პროცესში პირველი ნაბიჯი მკვდრადშობადობის შემთხვევის სათანადო რეგისტრაციაა (რასაც სტატისტიკური დანიშნულებაც აქვს). ამასთან ერთად საჭიროა ქალისა და მისი პარტნიორის ანამნეზის შეკრება, ასევე ქალის სამეანო ანამნეზი და მისი ბოლო ორსულობის სრული დოკუმენტაცია. წარსულში მიღებული იყო მკვდრადშობადობის დიაგნოზის შემდეგ მრავალი ანალიზის ჩატარება, რომლებიც ხშირად ურთიერთგამომრიცხავ შედეგებს აჩვენებდა. ამჟამად უფრო საფეხურებრივი გამოკვლევები ტარდება.

მკვდრადშობადობის მიზეზის დადგენის შემდეგ კლინიკურმა და ექსპერტიზამ გამოკვლევებმა შესაძლოა მოგვცეს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს დედის ინფექციას, პრეეკლამფსიას, პლაცენტის აცლას, ნაყოფის ზრდა-განვითარების შეფერხებას ან თანდაყოლილ ანომალიებს და წყალმანკს. შესაძლოა საჭირო გახდეს ამნიოცენტეზის ჩატარება ნაყოფის ქრომოსომული პათოლოგიების დასადგენად.

ისეთი კლინიკური ნიშნების გამოვლენისას, როგორებიცაა ჰიპერტენზია ან ხელის გულების და ფეხის ტერფის ქავილი, შეიძლება დამატებული იყოს ლაბორატორიული გამოკვლევები პრეეკლამფსიის და ქოლესტაზის დასადგენად. შემდეგი კლინიკური ნიშნების არსებობისას: მაკროსომია, მრავალწყლიანობა, ჰიპერგლიკემია, სიმსუქნე და სხვა, ვიკვლევთ დიაბეტზე და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებზე. როდესაც ინფექციურ მიზეზებზე გვაქვს ეჭვი (კლინიკური ნიშნები, როგორებიცაა ცხელება, დიარეა და სხვა) ნაჩვენებია სეროლოგიური და ნაცხის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები. მაღარია ან სიფილისი შეიძლება იყოს კონკრეტული რეგიონისთვის დამახასიათებელი მიზეზი. მშობიარობის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანია პლაცენტის პათანატომიური კვლევა და აუტოფსია. თრომბოფილიის, ფაქტორი V და II მუტაციის ჩათვლით, პროტეინ S- C და ანტითრომბინ III ნაკლებობის, ლუპუს ანტიკოაგულანტის, ანტიკარდიოლიპიდური ანტისხეულების და ჰიპერჰომოცისტეინემიის კვლევა ხშირად საკამათო საკითხია. თუ ანამნეზში ზემოთ აღნიშნული გართულებები არ აღინიშნებოდა, მაშინ მათი განხილვა, როგორც მკვდრადშობადობის მიზეზისა საეჭვოა. გამონაკლისია ანტი-ფოსფოლიპიდური სინდრომი, რომლის არსებობის შემთხვევაშიც ასპირინის მცირე დოზებით და დაბალმოლეკულური ჰეპარინით მკურნალობა ორსულობის პერიოდში აუმჯობესებს გამოსავალს.

მკვდრადშობადობის მიზეზებზე მოპოვებული ყველა ინფორმაცია განხილული უნდა იყოს სპეციალისტების გუნდში და მკვდრადშობადობის მიზეზები და რეკომენდაციები მომავალ ორსულობასთან დაკავშირებით უნდა იყოს შემუშავებული. ეს მიზეზები შემდგომ უნდა იყოს განხილული მშობლებთან.

## გესტაციური ჰიპერტენზია და მკვდრადშობადობა

დალი ტრაპაიძე<sup>1,2</sup>; ლელა შენგელია<sup>3,4</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს ჰიპერტონიის შემსწავლელი საზოგადოების კვლევების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

<sup>2</sup> ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია;

<sup>3</sup> საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საერთაშორისო მაგისტრი,

<sup>4</sup> დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველ 200 ორსულობაზე აღწერილია მკვდრადშობადობის ერთი შემთხვევა მსოფლიოში [1]. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასეთი შემთხვევების შეფასებასა და ანალიზს, რადგანაც ქალთა 90%-ზე მეტს, რომელთაც ანამნეზში აღენიშნებათ მკვდრადშობადობა აქვთ შანსი შემდეგი ორსულობის კეთილსაიმედოდ დამთავრებისა. ანამნეზში მძიმე პრეეკლამფსია/ეკლამფსიის არსებობისას 5-ჯერ მატულობს პერინატალური სიკვდილობის და 9,6-ჯერ მკვდრადშობადობის რისკი.

**კვლევის მიზანი:** მკვდრადშობადობის მიზეზების შეფასება ქართულ პოპულაციაში, 2008-2013 წლები.

**კვლევის მეთოდები:** აღწერილობითი კვლევა-სამედიცინო დოკუმენტაციის ანალიზი. ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის მიერ განხილულ იქნა 2008 -2013წწ მკვდრადშობადობის 1308 შემთხვევა (ორი სამშობიარო სახლის სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე).

**კვლევის ინსტრუმენტი:** სპეციალურად შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარი.

**კვლევის შედეგები:** კვლევის მონაწილე დედათა საშუალო ასაკი შეადგენს 28 წელს, ხოლო ბოლო ორსულობისას ეკლამფსია/პრეეკლამფსიის შემთხვევები მქონე დედათა საშუალო ასაკი -30წელს. მკვდრადშობადობათა 40%-ი დადგა ორსულობის 28-36 კვირაზე, ამასთან 50%-იალინიშნა პირველი მშობიარობის შემთხვევაში. დედათა 25%-ს ჰქონდა დამძიმებული სომატური ანამნეზი. ორსულობათა 11%-ი გართულდა ეკლამფსია/პრეეკლამფსიით, მათ შორის მძიმე ფორმის პრეეკლამფსია აღინიშნა 83%-ში.

არტერიული ჰიპერტენზია (აჰ) დიანოსტირდა ორსულობათა 66%-ში. სამედიცინო დოკუმენტაციის 52%-ში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია აჰ არსებობის ან არსებობის შესახებ. ხოლო წარმოდგენილ ინფორმაციათა შორის 31%-ში გვხვდება აჰ. დიაგნოსტირებულ შემთხვევათა 5%-ში არის ინფორმაცია მკურნალობის შესახებ, აჰ მკურნალობა ძირითადად ხორციელდებოდა არამტკიცებითი მედიკამენტებით.

**დასკვნა:** მკვდრადშობადობის მიზეზების ანალიზის საფუძველზე, კვლევამ გამოავლინა გესტაციური ჰიპერტენზიის მართვის სეროზული დეფექტები. აუცილებელია ამ მიმართულებით როგორც სამედიცინო პერსონალში, ასევე პოპულაციაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო ინტერვენციის განხორციელება.

## პლაცენტის პათოლოგია მკვდრადშობადობის დროს

### პროფესორი იან ერვიჩი

**მეან-გინეკოლოგი, მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსის ექს-პრეზიდენტი, გრონინგენის საუნივერსიტეტო სამედიცინო კლინიკა, გრონინგენის უნივერსიტეტი, გრონინგენი, ჰოლანდია.**

არსებობს ოთხი ძირითადი მიზეზი, თუ რატომ უნდა ჩავატაროთ პლაცენტის ჰისტომორფოლოგიური კვლევა:

1. პლაცენტის პათო-მორფოლოგიური გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემები მიგვითითებს მიზეზზე რამაც გამოიწვია მკვდრადშობადობა და გვაძლევს საშუალებას მომავალში თავიდან ავიცილოთ ორსულობის მსგავსი გართულება.
2. მშობლებმა, რომლებმაც შვილი დაკარგეს საჭიროა იცოდნენ თუ რაში მდგომარეობდა პრობლემა. თუ ეს პრობლემა დაკავშირებული იყო პლაცენტის პათოლოგიასთან, რის გამოც ნაყოფს არ მიენოდებოდა საკმარისად საკვები და ჟანგბადი, მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება ამის შესახებ.
3. პლაცენტის სპეციფიური ცვლილებები დაკავშირებულია ახალშობილის დაბადების შემდგომ პრობლემებთან. ორსულობის დროს პლაცენტის პათოლოგიის შესახებ არსებული ინფორმაცია ეხმარება პედიატრებს მომავალში მიიღონ პრევენციული ზომები.
4. პლაცენტის სხვადასხვა სახის პათოლოგიები შეიძლება იყოს მკვდრადშობადობის მიზეზი. თითოეული ასეთი მიზეზი გვაძლევს ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც აუცილებელია შემდეგი ორსულობის დაგეგმვისას იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად არსებობს შემთხვევის განმეორების რისკი.

მომავალი ორსულობის კლინიკური მართვა განსხვავებულია და დამოკიდებულია ანამნეზში არსებული მკვდრადშობადობის მიზეზზე. პლაცენტურ პათოლოგიასთან დაკავშირებით ტერმინების არათანმიმდევრული და ზოგადი გამოყენება ხშირად პრობლემას წარმოადგენს. პლაცენტის გამოკვლევის შედეგები რაოდენობრივად რთულად აღრიცხვადია და ზოგიერთი პათოლოგიური ცვლილება შეიძლება აღინიშნებოდეს ნორმალური პლაცენტის არსებობის შემთხვევაშიც. ზოგადად, პათანატომებს არ მოსწონთ პლაცენტის გამოკვლევა, რადგან შესაძლოა ზემოთ აღნიშნული მე-3 და მე-4 პუნქტები არ არის კარგად განსაზღვრული და ბოლომდე არ აქვთ გააზრებული რამდენად ღირებულია პლაცენტის გამოკვლევა. კლასიფიკაციის სისტემები განსხვავებულია და მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა სიკვდილი ერთი კონკრეტული მიზეზით არის გამოწვეული, პრაქტიკაში მრავალ ფაქტორიანი მიზეზები უფრო ხშირად გვხვდება. პლაცენტის პათოლოგიის კლასიფიკაცია რამდენიმე სისტემის საშუალებით შეიძლება.

ახლახან რ. ვ. რედლაინმა (Placenta 29 Suppl, Trophoblast Research Vol 22 (2008) S86-S91) შემოგვთავაზა პლაცენტის პათოლოგიისადმი სისტემური მიდგომა კლინიკური კორელაციით. მან აღწერა პლაცენტის დაზიანების სამი სახე: დედისმხრივი, ნაყოფისმხრივი და ანთებითი. პირველ ორ ჯგუფს აქვს შემდეგი განმტოებები: არასრულფასოვანი განვითარება, ობსტრუქცია ან მთლიანობის დარღვევა. ანთებითი ჯგუფის განმტოებებია: მწვავე ქორიოამნიონიტი (ინფექციური), პლაცენტის ქრონიკული ანთება და ქრონიკული დეცდუიტი. პათომორფოლოგიური გამოკვლევის სპეციფიური შედეგები ამ კატეგორიებში ერთიანდება და დაკავშირებულია ახალშობილის ნევროლოგიურ გამოსავალთან. ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში მკვდრადშობადობის მიზეზების კლასიფიკაცია მოხდა TULIP-ის კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით (Korteweg et al BJOG 2006). ამ კოჰორტიდან ჩვენ დავადგინეთ, რომ პლაცენტის პათოლოგიის და დედის სისხლძარღვთა პათოლოგიის თანაარსებობა ყველაზე ხშირია 32 კვირის ვადაზე განვითარებული მკვდრადშობადობის დროს.

საინტერესოა, რომ ამ ქალთა 1/3-ზე მეტს არ აღენიშნებოდა პრეეკლამფსიის ან ნაყოფის ზრდა-განვითარების შეფერხების კლინიკური სიმპტომები. მკვდრადშობადობის დროს იკვეთება პლაცენტის ორი ტიპის პათოლოგია:

1. პლაცენტის ჰიპოპლაზია, რომელშიც ჰისტოლოგიურად ნორმალური პლაცენტა არის მცირე წონის, განსაკუთრებით ნაყოფის წონასთან შეფარდებით.
2. ნორმალური განვითარება და პლაცენტის ბუსუსები რჩება განუვითარებელი მესამე ტრიმესტრში.

აღინიშნება დიფუზია დედისა და ნაყოფის სისხლს შორის და უეცრად ნორმალური განვითარების ნაყოფი კვდება. პლაცენტის განვითარების პათოლოგიის მიზეზების და განმეორების რისკის უფრო ღრმა კვლევაა საჭირო, რადგან შესაძლებელია პრევენციული ზომების მიღება. დღემდე, შემდეგი ორსულობისას 38 კვირის შემდეგ გეგმიური მშობიარობა ამ პროცესში ჩარევის ერთადერთი ხერხია.

## ნაყოფის შემცირებული მოძრაობის შესახებ ცნობიერების ამაღლება მკვდრადშობადობის შესამცირებლად

**ვ. ფლენადი<sup>1,2,3</sup>, დ. ელვუდი<sup>2,3,4</sup>, გ. გარდენერი<sup>1,2,3</sup>, ა. ვოციზევი<sup>1,2,3</sup>, პ. მიდელტონი<sup>3,5</sup>, ქ. ქროუთერი<sup>3,5</sup>, ვ. მაჰომედი<sup>1,2,6</sup>, ა. კენტი<sup>2,11</sup>, ა. მაკარდლი<sup>1,2</sup>, ა. ფიქოქი<sup>1</sup>, პ. დილონი<sup>1,2</sup>, ჯ. ნორმანი<sup>9</sup>, ფ. ფროენი<sup>2,3,10</sup>.**

- <sup>1</sup> დედათა კვლევითი ინსტიტუტი, ქუინსლანდის უნივერსიტეტი, ბრისბენი, ავსტრალია;
- <sup>2</sup> ავსტრალიის პერინატალური საზოგადოება და ახალი ზელანდიის მკვდრადშობადობის და ნეონატალური დანაკარგის ალიანსი;
- <sup>3</sup> მკვდრადშობადობის საერთაშორისო ალიანსი;
- <sup>4</sup> გრიფითის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა და გოლდ ქოუსტის საუნივერსიტეტო კლინიკა, ქუინსლენდი, ავსტრალია;
- <sup>5</sup> ავსტრალიის ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის კვლევის ცენტრი, ადელაიდის უნივერსიტეტი, ადელაიდი, ავსტრალია;
- <sup>6</sup> იპსვიჩის საავადმყოფო, ქუინსლენდი, ავსტრალია;
- <sup>9</sup> ედინბურგის უნივერსიტეტი და რეპროდუქტიული ჯანმრთელობის სამედიცინო კვლევის ცენტრი;
- <sup>10</sup> ნორვეგიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტი, ნორვეგია;
- <sup>11</sup> ავსტრალიის ნაციონალური უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა და კანბერას საავადმყოფო, ავსტრალიის ფედერალური ტერიტორია, ავსტრალია.

### შესავალი

მკვდრადშობადობა ქალებისთვის და მათი ოჯახებისთვის ტრაგიკული მოვლენაა გრძელვადიანი ფსიქოლოგიური შედეგებით. მკვდრადშობადობის მრავალი შემთხვევა ხდება ორსულობის მესამე ტრიმესტრში, ერთი შეხედვით ფიზიოლოგიური ორსულობის დროს. მკვდრადშობადობის ეს შემთხვევები ხშირად ასოცირდება ნაყოფის განვითარების შეფერხებასთან და წინ სდევს ნაყოფის მოძრაობის შემცირება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დედის მიერ ნაყოფის მოძრაობის შემცირების აღქმა სკრინინგის მარტივი მეთოდია და არ მოითხოვს დანახარჯებს. მიუხედავად ამისა, ამჟამად, რომ ქალებს ხშირად არ მიეწოდებათ ადეკვატური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას მოიცავს ნაყოფის ნორმალური მოძრაობა ორსულობის გვიან პერიოდში და როდის უნდა მიმართონ ექიმს ნაყოფის მოძრაობის შემცირების დასადგენად. სამედიცინო პერსონალის დამოკიდებულება ნაყოფის მოძრაობის შემცირების პრაქტიკული მენეჯმენტის საუკეთესო ხერხების შესახებ განსხვავდება. პრევენციული ხაზს გაუსვამს მიმდინარე კვლევებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. ორსულთა დამოკიდებულება და მოსაზრებები ნაყოფის მოძრაობასთან დაკავშირებით და მათი მოსალოდნელი ქმედებები ნაყოფის მოძრაობის შემცირების დროს.
2. ორსულთა გამოცდილება ნაყოფის მოძრაობის შემცირებაზე ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით.
3. სამედიცინო პერსონალის მხრიდან ნაყოფის მოძრაობის შემცირებისას შემთხვევათა კლინიკური მენეჯმენტის გაიდლაინების ცოდნა.
4. იმ სამედიცინო პერსონალის კლინიკური პრაქტიკა, რომელთაც ამ დიაგნოზის ორსულების მეთვალყურეობის გამოცდილება აქვთ.
5. მიმდინარე ინტერვენციის მცდელობები ნაყოფის მოძრაობის შემცირებასთან დაკავშირებით ცნობიერების ასამაღლებლად მკვდრადშობადობის რიცხვის შემცირების მიზნით.

### ახლანდელი მდგომარეობა

